№ 29

კვირა, 8 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 8 | 8 — | 3 | 3 50 |
| 9 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 29

კვირა, 8 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა თეკლე ქაიხოსროს ასული აბაშიძისა შვილებითურთ, კნეინა ივლიტა დიმიტრის ასული ერისთავისა, ოლგა დიმიტრის ასული ბეგურიშვილისა, კნეინა ანნა ზაალის ასული აბაშიძისა და თავ. დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის მეუღლისას, მეორენი ძმისას, მესამე მოზლისას, ხოლო უკანასკნელი ბიძისას,

## თ. სვიმონ დიმიტრის ძის აბაშიძისას

გამოსვენება მიცვალებულისა დანიშნულია ორშაბათს, 9 თებერვალს, დილის 12 საათზე, ვერის დაღმართი, სახლი № 23, ტფილისის რკინის გზის სადგურამდე და იქიდგან თავის საკუთარ სოფ. ზემოჭალას. დაკრძალვა გვამისა იქმნება სამშაბათს, 10 თებერვალს. პანაშვიდი ყოველ დღეა. (1—29—1)



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ
**ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის**
## შულცე-ბენკოვსკისას.
ღიაა ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში
ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდესისა და მოსკოვისა
(5—28—1) შესვლა ღირს 20 კაპ. **დაწვრილებით აფიშებშია**

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუელობასა.

ფოტოგრაფი **ა. ს. როინაშვილი.**

## ქართული თეატრი

კვირას, 8 თებერვალს,

ბენეფისი

## რეჟისორის კ. ს. მესხისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ქ-ნ ე. ს. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

═ პირველად ═

## ა. კაზაიან

დრამა 5 მოქმ. გადმოკ. სუმბათოვის დრამიდგან მობენეფისეს-მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელი, გარელისა, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კარბელი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

## ალექსანდრე მაჭუტაძის საწყობში

ცხენის რკინის-გზის პარკის პირდაპირ ისყიდება რცხილის შეშა საჟენი 28 მანეთად. (2—27—2)

ტფილისი, 7 თებერვალი

ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენის ქართულის ლიტერატურისა ის არის, რომ ეგრედ წოდებული სალიტერატურო კრიტიკა სრულიად არ არსებობს ჩვენში. ბევრნი იმდურებიან და სამართლიანადაც, რომ ეს ასეა, მაგრამ კრიტიკა ჩვენში მაინც ვერ იშვა და ვერ [illegible]

## ფელეტონი

### ძველი და ახალი ამბავი

ვვოხრავთ და ვწუწუნებთ, ევროპა არ გვიცნობსო. მეც ერთს ჩემს წერილში საყვედური გამოვაცხადე, პარიჟში ორიენტალისტების კრებაზედ ქართველების შესახებ მეცნიერთ სიტყვაც არ დაუძრავთ-მეთქი. გული მეტკინა. ან და როგორ არ უნდა მტკენოდა? ყველაზე რამე ითქვა, მხოლოდ ჩვენ არავის გავხსენებივართ, თითქო არც წარსული გვქონოდეს, არც ეხლა დედამიწაზე ფეხი გვედგას. ვინ ამბობს! ეს საყვედური სამართლიანი იყო. ხოლო რადგან საქმე ასეა, ჩვენვე უნდა ვუშველოთ თავს, ჩვენ უნდა გავხადოთ ჩვენი თავი ევროპის ყურადღების ღირსი. ღმერთო, მიშველეო! ხელი გასძარ და გიშველიო.

ამ ორის წლის შემდეგ პარიჟში მსოფლიო გამოფენისათვის ემზადებიან. რაც რამ დედამიწის ზურგზე შესანიშნავია, ყურადღების ღირსია, სანახავად გამოიტანენ, გამოაჩენენ. ყოველ გვარ კაცის ნამოქმედარს, ნაწარმოებს დათმობილი ექნება ამ გამოფენაზე შესაფერი ალაგი, შესაფერი ყურადღება ექნება მიპყრობილი.

გამოფენა საზოგადოდ ისეთი საასპარეზო მოედანია, სადაც ყოველი ერი, ყოველი ქვეყანა, ყოველი დედამიწის კუთხე გამოიტანს ხოლმე თავისს საუკეთესო ნაწარმოებს, ქვეყანას დაანახვებს, და ეუბნება, მეც ჩემი წილი მიძევს კაცობრიობის სიკეთეშიო; გამოფენა ისეთი საასპარეზო მოედანია, სადაც ხდება მშვიდობიანი კულტურული ბრძოლა ერთა შორის, სადაც ისინი თავიანთ ღირსებასაცა და ნაკლულევანებასაც ჰხედავენ და სადაც ადამიანი ითვალისწინებენ კაცობრიობის ნამოქმედარს, ნამუშევარს, გონებითი და ფიზიკურის შრომის ნაყოფს. ეს ზნეობრივი მნიშვნელობაა გამოფენისა; ხოლო ქონებრივი, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ვაჭრული და მრეწველური მნიშვნელობა კ განუზომელია. მრავალ გვარ წარმოების წარმომადგენელნი და ფულიანი ხალხი იტყობს თუ სად, რომელ ქვეყანაში, რა წარმოება არსებობს, რა სარგებლობა მოაქვს, რა მოგება რჩება მწარმოებელს და სხვა. ერთის სიტყვით, იგი სცდილობს შეითვისოს, შეისწავლოს ყოველი ის პირობა, რომელშიაც ჩაყენებულია ეს საქმე. და თუ გარემოების გამოკვლევამ აჩვენა, რომ წარმოება სარფაა და იმაზედ დანახარჯი ფული კარგს სარგებელს მისცემს, იმ შემთხვევაში კაპიტალისტი საქმეს ხელს ჰკიდებს, ფულს აშველებს, ფეხზედ აყენებს, ავრცელებს, აუმჯობესებს იმიტომ რომ მეტი სარგებლობა ჰნახოს, თავისს ფულს მეტი მოაგებინოს.

ჩვენში, საქართველოში, ფულის სიძვირეა. ამის გამო არც ერთი საქმე რიგიანად არ მიდის. არც მადნეულობის წარმოება, არც მეურნეობა, არც მრეწველობა და არც ალებ-მიცემობა, ვაჭრობა. როცა მოსავალი არ არის, ვტირით და სატირალიც გვაქვს; და როცა მოსავალია, მაშინაც ვტირით—ჭირნახულს ფასი არა აქვს,—ან იმიტომ არა აქვს ფასი, რომ სხვა ქვეყნების მეტოქობას, კონკურენციას, უღელს ვერ ვუსწორებთ და ან იმიტომ, რომ მწარმოებელთა და მუშტართ შუა ურიცხვი შუამავალია; შუამავალი ჩვენს საქონელს აქვე, ადგილობრივ, ფასს უმცირებს და ჯიბეს ისქელებს. ბევრჯელ თქმულა, როგორმე დავუახლოვდეთ თვით მუშტარსო, ნამდვილ მუშტარსო, ესე იგი ევროპიულ ბაზარსაო, მაგრამ ვერა მოგვიხერხებია-რა: ხან გამჭრიახობა დაგვკლებია; უფრო ხშირად-კი ხელ-მოკლეობას დავუბრკოლებივართ. ეხლა კარგი შემთხვევა გვაქვს: რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, მთავრობა შეგვაძლებინებს. მრავალ პარიჟის გამოფენაში უეჭველად მონაწილეობა უნდა მივიღოთ. რა გავგზავნოთ, რითი გამოვიჩინოთ თავი, რა გვაბადიაო, იტყვით. თუმცა ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც რისიც პატრონი ვართ, ის ვუჩვენოთ ქვეყანას: ჩვენი პური, სიმინდი, ქერი, ღვინო, ტყე, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, საქონლის ტყავი, შავი ქვა, ქვანახშირი, სპილენძისა და რკინის მადნეულობა, სხვა და სხვა ხელთ ნამოქმედარი, ნაქსოვი, ნაქარგი, შალები, დარაიები, იარაღი, ჭურჭელი. ერთის სიტყვით, თუ ყოველი ეს რიგიანად იქნება მოწყობილი და გამართული, უყურადღებოდ არ დარჩება. ყოველი საგანი აღწერილი უნდა იქმნას, სად არის იგი ნაწარმოები, გაკეთებული, რა იარაღი არის ნახმარი, რა ფასი აქვს თავისს სამშობლოში, რა ჯდება ფულად მისი წარმოება,—ყოველი მისი ეკონომიური და ისტორიული ვითარება. ამ აღწერილობიდამ კაპიტალისტი გაიგებს საქმის გარემოებას, შეიძლება მოიწონოს, სასარგებლოდ დაინახოს, ხელიც მოჰკიდოს, თავისი ფული მოაშველოს და ესა თუ ის ჩვენი დაქვეითებული წარმოება ფეხზედ დააყენოს, სული ჩაუდგას, ჩვენც გვასარგებლოს და თითონაც ისარგებლოს. ევროპაში იმდენი ფულია, რომ გაფაციცებით ეძებენ რამ საქმეს, რომ ფულს სარგებელი მოაგებინონ. ევროპას რომ ჩვენებურის აბრეშუმის, თამბაქოს, მადნეულობის ღვინის ტყის საქმე ჰქონდეს შესწავლული, შეიძლება კაპიტალი აქამდისაც მოგვშველებოდა და გამოვეყვანეთ იმ უკიდურეს მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ დღეს ვართ. ესევე ითქმის სხვა მრავალ გვარ საქართველოს წარმოებაზედაც, რომელთაც სულის ჩამდგმელი ძალა აკლია, და ეს ძალა ფულია.

გარდა ამისა მომავალი პარიჟის გამოფენა სხვაფრივაც ჩვენთვის საყურადღებო და სასარგებლოა. ჩვენ შეგვიძლია ქვეყნიერობას ვაჩვენოთ ჩვენი გონების ნამოქმედარიც, კაცობრიობას წარუდგინოთ ნაწარმოები ჩვენი სასულიერო მწერლობისა ძველი და ახალი, საერო ლიტერატურისა, მეცნიერებისა, ჩვენის ძველის ეკლესიებისა თუ ციხეების კარგად გადაღებული ფოტოგრაფიები, სხვა-და-სხვა ხელთ ნაწერები, რომელიც თავ-მოყრილია „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ საცავში, ვახუშტის გეოგრაფია და რუკა, ქართლის ცხოვრება, მეფე ვახტანგის კანონები, ვისრამიანი, ნახატიანი „ვეფხვის ტყაოსანი“, თხზულებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა, დავით გურამიშვილისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა და სხვებისა, ვისიც ნაწერები-კი რაიმე გონებით საუნჯეს შეიცავს, დაბეჭდილი და გამოცემულია. ხოლო რომ ყოველივე ეს ევროპიელთ მიერ შეგნებული და გაგებული იქმნას, აუცილებლად საჭიროა შესდგეს სრულიად საქართველოს მოკლე ისტორიული აღწერა, კარგად თვალ-საჩინოდ აღიბეჭდოს მისი ერის სვე ბედი, დამსახურება ქრისტიანობისა და კაცობრიობის წინაშე: ამ ისტორიულ აღწერილობას უნდა მიემატოს აგრეთვე მოკლე ისტორია ჩვენის ლიტერატურისა, ეკლესიისა, ხელოვნურ შემოქმედობისა (искусства), და ეხლანდელის ეკონომიურ მდგომარეობისა. ამ გვარად შედგენილი წიგნი, რამდენსამე ათასს ეგზემპლიარად ფრანგულ, ინგლისურ და ნემეცურ ენაზე გამოცემული, საუკეთესო სახელმძღვანელო იქმნება ევროპიელ მსწავლულთათვის პარიჟის გამოფენის ქართულ განყოფილების გასაგებადა და შესასწავლად. ამ საქმის განუზომელი მნიშვნელობა ქართველობისათვის ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ საგანზედ ჩვენის საზოგადოების ერთს წრეში უკვე იყო მოლაპარაკება. პარიჟის გამოფენამდის ბევრი დრო აღარ დარჩენილა. საქმეს კარგი მოწყობა და გამართვა უნდა. თუ ვეჩვენებით ევროპას, ისე უნდა ვეჩვენოთ და წარვუდგეთ, როგორც რიგი და წესია, რომ ყურადღების ღირსი გავხდეთ, სარგებლობაც რამ ვნახოთ. ამიტომ საჭიროა, დრო არ დავკარგოთ, საქმეს ეხლავე შევუდგეთ, გზა და საშუალება მოვიპოვოთ, რომ ეს აზრი სავსებით განხორციელდეს.

**დავიწყებული მწერალი**

და წარმატება ლიტერატურისა, თუ არ რიცხვით, ღირსებით მაინც ძალიან ძნელია და რომ ვთქვათ შეუძლებელია, არც ეს იქნება, ვგონებთ, მეტი. ცხოველ-მყოფელობა ლიტერატურისა, მისი სიცოცხლე, მისი სული და ხორცი თავს იჩენს არა მარტო მით, რაც იწერება, არამედ ნაწერების განკითხვითაცა. რაც უფრო ბევრი ნაწერია და მაღალისა თუ დაბალის ხარისხისა, მით უფრო საჭიროა კაცს ხელთ ეჭიროს იგი სანათური, რომელსაც კრიტიკა წარმოადგენს. კრიტიკა სწორედ სანათურია ლიტერატურისა, იგი სწორედ სამტკიცია, რომელიც ფქვილს არჩევს ქატოსაგან.

რამდენადაც ამ უწმიდაესს დანიშნულობაზე ახლოა კრიტიკა, იმდენად იგი დიდს სამსახურს უწევს მკითხველს საზოგადოებას და თვით ავტორებს, რომელთ შორის იგი მოციქულიც არის და ხელთმძღვანელიც ერთსა და იმავე დროს. მრავალ სალიტერატურო საგნებში გზის გაგნება, კარგისა და ავის გარჩევა, ღვარძლის დაგლეჯა, მარგვლა ხორბლის გაძლიერებისათვის, ადვილი საქმე არ არის. ამას ნიჭიც უნდა და დიდი ცოდნაც და ამასთან მაღალზნეობაც, რომ მიდგომით, თვალ-ღებით მართალს არ უმტყუნოს და ტყუილს გზა არ მისცეს. საცა კაცი სჯის, იქ შეცდომაც შესაძლებელია, მაგრამ ყოველის კაცის მართალი ის არის, რაც გულით მიაჩნია მართალად და არა მიდგომით და თვალ-ღებითა, ან იმ განზახვით, რომ ამას ვასიამოვნო, იმას ვაწყინოო და სასწორი განკითხვისა ერთ-ერთს ამისთანა უღირსს სურვილს დაამძლევინოს.

ხოლო კრიტიკამ რომ თავი იჩინოს, კრიტიკა რომ აღმოცენდეს და თავისი სანატრელი ფრთა გაშალოს, ამისათვის საკმაო არ არის მარტო ერთი სურვილი. კრიტიკა ერთი დიდი საფეხურია ზე-აღსავლისა კაცთა საზოგადოების წარმატების გზაზედ. კრიტიკა საზოგადოების გონებითის ასაკის საქმეა. როგორც ბაშვს ვერ მოეთხოვება წვერულვაში ჰქონდეს, ისეც საზოგადოებას კრიტიკა, თუ გონების უასაკობით ხსენებულ ზე აღსავლის საფეხურამდე არ მიუღწევია. კრიტიკა ციდამ ვერ ჩამოვარდება მანანასავით, რაც გინდ ხელები ბევრი ვიშვიროთ ცისკენ. მისი მშობელი და გამჩენელი თვით საზოგადოებაა და იგივეა მისი მზრდელი და ძუძუ-მწოვებელი.

ამ შემთხვევაში პირველი ნიშანი საზოგადოების ასაკოვნებისა ჸ აღმატებულობისა, სხვათა მრავალთა შორის, ის არის, რომ საზოგადოება სხვისის აზრის შეწყნარებამდე ტანში იყოს გამართული. შეწყნარება დაჯერებას-კი არ ჰნიშნავს გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარს სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოვლად საკადრისი საქციელი გონება გახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არა რა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისს თავსაც და სხვასაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონება-დახშულზედ უარესია.

საცა ჩვეულ არ არიან ასეთის პატივით მოექცნენ სხვის აზრს, იქ კრიტიკა მშვიდობიანი სამსახური-კი არ არის საზოგადოების წინაშე, არამედ თავის გამომეტებაა სალანძღავად, საქიშპოდ, ჭუჭყისა და ჩირქის მოსაცხობად და ამასთან თვით ხმაც კრიტიკისა ღაღადებაა უდაბნოში. მართალია, კაი საქმისათვის, მართალისათვის თავ-დადება, უშიშრობა, დეე მლაძღონ, ჭუჭყი, ჩირქი მაცხონ, ჯვართმაცვანო, ოღონდ რაც მართალი მგონია, იმას ფეხი მოვაკიდებინო საზოგადოებაშიო, — დიდი სასახელო რამ არის, მაგრამ დიდს ვაჟკაცობას, დიდს სულის ღონესაც ჰთხოულობს და ყველა ეს დიდ-ბუნებოვანის კაცის საქმეა. ხოლო სად არის ამისთანა კაცი? ეს საჭიროება თავ-გამეტებისა, ეს ამაოება ღაღადებისა განა არ უნდა უშლიდეს კრიტიკის მოვლენას, მხნეს გულს არ უნდა უტეხდეს და გულგატეხილს გასამხნევებლად ღონეს არ უნდა უფრო უძლურებდეს!..

ესეთი გარემოება ისე არსად ჰხუთავს სულს კრიტიკას, როგორც პატარა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა ყველანი თითქმის ერთს ვიწრო მოედანზე ვტრიალებთ ურთი-ერთობისათვის. მართალია, არიან პატარა ქვეყნები, საცა კრიტიკა ფრთა-გაშლილია, მაგრამ იქ თუ შინაობაში შემწყნარებელი არა ჰყავს გამკითხველსა, გარედ მაინც ჰშოულობს, რადგანაც ან ამ პაწია ქვეყნების ენა, ან იგი, რომლის წყალობითაც კრი[illegible] გავრცელებულია. ქართული ენა-კი ამას სრულიად მოკლებულია, ქართული მარტო საქართველოში იციან. მაშასადამე, თუ არ შინ, გარედ ჩვენებურ კრიტიკოსს გამკითხავი არა ჰყავს.

შინ-კი ყველანი თითქმის ერთმანეთს ვიცნობთ, თითქმის ყოველ დღე ერთმანეთსა ვხედავთ, ზოგს წინადვე დაკვებებულნი მაქებარნი ჰყავს, ზოგს — მოწუნარნი, ზოგსა სწყინს, ჩემს საყვარელს კაცს რად რასმე უწუნებენო, ზოგი ჰჯავრობს, ჩემს უსიამოვნო კაცს რად აქებენო, თუნდ ძაგება, თუ ქება ისე ცხადი იყოს, როგორც ორჯელ ორი ოთხია. ჩვენში თუ წუნი რამე დასდე ვისსამე ნაწერს, რაც გინდ საბუთიანი და ცხადი წუნი იყოს, არიან იმისთანანი, რომ მტრობაში ჩამოგართმევენ ისე ურარაოდ, უმიზეზოდ, საბუთების უჩხრეკლად. არიან იმისთანებიც, რომ თუ აქებ ვისმე, მოუწონებ ნაწერს, რაც გინდ საბუთიანი ქება და მოწონება იყოს, მაინც „ნათლიმირონობას, ფარისევლობას დაგწამებენ და ქებას თუ მოწონებას ახსნიან მით, რომ სადილ-ვახშმებით მისყიდული ხარ. აქ ჩვენში განკითხვა გამკითხველისა კაცის გუნებაზეა მიგდებული და არა გონებაზე, რომელმაც მარტო საბუთით უნდა ჰსაჯოს. აქ „მე ასე მინდა, ასე მიამება" უფრო მეტად სჭრის, ვიდრე საბუთით გამოჩხრეკილი და გულში გამონასკვილი მართალი.

საკვირველი იქნება, რომ თვითვეული ეს გარემოება ცალკე და ყოველი ერთად პირში ბურთი არ იყოს კრიტიკისათვის, პირს წყლით არ უვსებდეს კრიტიკას. იქ, საცა კაცი კაცს ამართლებს იმით, რომ კაცია და გუნებაო, თქენს კრიტიკას ისეთს კუდს გამოაბმენ, თქვენ თვითონ ისეთს ჭუჭყში მოგავლებენ, რომ თავი და ბედი უნდა იწყევლოთ — ეს რა ღმერთი გამიწყრა და ხმა ამოვიღე, რატომ ჩემთვის არ ვიჯექიო.

რაც ბეჭდურ სიტყვით შეუძლებელია ჩირქი მოგცხონ, იმას მითქმა-მოთქმითა და ჭორებით მოგცხებენ. მითქმა-მოთქმა, ჭორი ჩვენში უფრო შორსა სწვდება, პატარა ქვეყანაა, მალე შემოუვლის ხოლმე გარს, ვიდრე ბეჭდური სიტყვა, რომელიც დღემდე ტატით დადის. თუნდაც კარგი მარბენალიც იყოს, სრულიად ულონოა კუდ-ამოძუებულს ქურდულს მითქმა-მოთქმას და ჭორებსა უკან სდიოს და პირში ლაგამი ამოსდოს. მითქმა-მოთქმა და ჭორი თაგვსავით ჩუმ-ჩუმად დაძვრება სოროებში და მოდით და სდიეთ! ტყუილ-უბრალოდ გაგაუპატიურებენ, თავზე ლაფს დაგასხმენ, თავს მოგჭრიან.

ეგ კიდევ არაფერი: მითქმა-მოთქმას და ჭორებს როგორმე აიტანს და გაუძლებს კაცი. კიდევ ვიტყვით, ჩვენი ქვეყანა პატარა ქვეყანაა, ყოველ ცისამარა დღეს ერთმანეთს თვალში ვეჩხირებით, გინდა თუ არა ერთმანეთსა ვხედავთ, მოდით და იმისი გაბუტვა და თვალთა ბრიალი აიტანეთ, ვისაც ნაწერი დაუწუნეთ, თუნდ ძალიან საბუთიანადაც. რომ გამკითხველს გაკითხული მტრად გადაეკიდება და ეცდება სხვაც გადაჰკიდოს, ამას ეჭვი არა აქვს და ყოველს ამას უნდა თუ არა გაძლება? განა ჯვართ-ცმა არ არის ასეთი გარემოება კრიტიკოსისათვის!.. აი სწორედ ეს არის: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, და აკი გაცლილია კიდეც ჩვენში კრიტიკა. კრიტიკოსიც ადამიანია, იმასაც უნდა ქვეყანაში ტკბილად, სიამოვნებით ცხოვრება და განა უნდა გიკვირდეს, რომ ამ ტკბილისა და მშვიდობიანის ცხოვრების წყურვილმა სძლიოს იმ ჯვართა-ცმას, რომელიც მოელის ჩვენში კრიტიკოსსა, იმ საწამლავს, რომელიც დაშხამავს ყოველ წუთს მისის სიცოცხლისას.

ყოველივე ეს არის ჩვენში, იმიტომ-რომ სხვის აზრის შეწყნარებამდე ჯერ არ აღვზრდილვართ. საბუთიანად განკითხვისა-კი არ ეშინიან კრიტიკას, უსაბუთოდ განკითხვას უფრთხის და ერიდება. უსაბუთოდ განკითხვა ლანძღვაა, გინებაა და გონება დახშულის, გულ-წამხდარის კაცის საქმეა. შეწყნარება სხვისა აზრისა, ესე იგი, საბუთიანი განკითხვა მართლ მსაჯულებაა და გონება აღმატებულის, გულ-გაწმენდილის, ჭეშმარიტად განათლებულის კაცის საქმეა. სხვისა აზრის შეწყნარება რომ საზოგადოებაში იყოს, კრიტიკაც ხმას ამოიღებს, ფრთას გაშლის, თუ ამასთან ყოველივე სხვა გარემოება მზაა საამისოდ. ეხლა-კი მინამ კაცი, თუნდ კარგად მომზადებული, კრიტიკას ხელს მიჰყოფს, ჯერ თავზედ ხელი უნდა აიღოს, ჯვარ-საცმელად თავი დასდოს, სალაყბოდ და გასაუპატიურებლად გახდეს, ჭუჭყისა და ჩირქის მოცხებას არ შეუშინდეს, ნაცნობები და მეგობრები გადაიკიდოს, გამოესალმოს მშვიდობიანს ცხოვრებას, მოიწამლოს თავისის სიცოცხლის დღენი, ერთი სასიამოვნო დღე არ ჰნახოს და ყოველ ამ უბედურების წინაშე არ შედრკეს. ძნელია კაცმა ამოდენა დიდ სულოვნობა და გულოვნობა იქონიოს, თუმცა-კი დიდად სანატრელია, მაგრამ ნატვრა და ახდენა ნატვრისა ერთი და იგივე არ არის.

კიდევ ვიტყვით, პატარა ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა და ამიტომაც ყოველივე ხსენებული უბედურება აქ უფრო შესაძლებელია, ვიდრე სხვაგან, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სხვის აზრის შეწყნარება ჩვენში ჯერ მოუწევარი ხილია და მკვახე ხილიკი, როგორც მოგეხსენებათ, კბილსა სჭრის.

იტყვიან, მაშ დიდ-სულოვანი და გულოვანი ყოფილა იგი თითოოროლა კაცი, რომელთაც ჩვენში ზოგიერთხელ კრიტიკის ხმა მორთესო. არა, ბატონებო, ჩვენებური კრიტიკაც იმ საფეხურზეა, რაზედაც საზოგადოება, რომელსაც მარტო ერთად-ერთ საწყაოდ ის ხელმძღვანელი აზრი აქვს, რომ „კაცია და გუნებაო". ყოველი მზგავსი მზგავსა ჰშობსო, ნათქვამია. თუ სადმე ეხლა კრიტიკის ხმა ისმის ჩვენში, ეს ხმა ისევ იქიდამ გამოდის, საცა „კაცია და გუნებააო" ჰბუდობს. „მე ასე მინდა, ასე მიამება" უფრო ჰლაპარაკობს ჩვენში, ვიდრე განკითხულის ნაწერის საქები თუ საწუნი.

ეხლანდელი ჩვენებური კრიტიკა ან ღვარძლის ნთხევაა იმის თავზე, ვინც ნიშანშია ამოღებული, ურარაოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად, ან ქების ხმაა და გუნდრუკთ კმევა ეგრევე ურარაოდ, უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად. ამისთანა კრიტიკოსს რა აქვს, რომ იმის დაკარგვის შიშმა დააბრკოლოს? ამისთანას ჭორი და მითქმა-მოთქმა რას ჩამოართმევს, რაც არა აბადია-რა? რას გაუფრთხილდეს, რომ ღმერთს გასაფრთხილებელი არა უღირსებია-რა? კარს იგი ჰკეტავს, ვისაც დასაკარგავი საუნჯე რამა აქვს. ვისაც არა აქვს-რა, იმისი ქოხი ფარღალალაა: თუ ღმერთმა მიშველა და შემოვიდა ვინმე, იქნება იმას დარჩეს რამე აქ, თორემ აქედამ რას წაიღებს, რაც არ არისო. ეს გულოვნობა კი არ არის, პირდაპირი ანგარიშია.

სულ სხვაა, ვისაც გრძნობა ადამიანურ ღირსებისა გაღვიძებული აქვს. ამ საუნჯეს კაცი ისე ადვილად ვერ გამოიმეტებს სხვის მიერ სათელავად და ჩირქ მოსაცხობად, ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ლაფში სათრევად. მართალია, ადამიანთა სასახელოდ, ბევრნი ყოფილან სიმართლისათვის წამებულნი ქვეყანაზე და ამიტომაც არიან წმიდათა შორის შერიცხულნი. ხოლო ეს ყველას ვერ მოეთხოვება, ყველას არა აქვს დიდებული უნარი სიმართლისათვის ჯვარს ეცვას. ამისთანა ბუნებისანი იშვიათნი არიან. შესწირე თავი მართალს, დეე გლანძღონ და გათრიონ, დეე მოგიწამლონ სიცოცხლე, ჩაგიმწარონ წუთი-სოფლის დღენი, ადვილი სათქმელია და ძნელი საქმნელი.

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: ნადვორნი სოვეტნიკებს გელქჩაის მაზრის სოფ. გელქჩაის ექიმს იოსელიანს და ბორჩალოს მაზრისას მანსვეტაშვილს — კოლლეჟსკი სოვეტნიკობა.

კოლლეჟსკი ასესორს ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს გამრეკელს — ნადვორნი სოვეტნიკობა.

ტიტულიარნი სოვეტნიკებს გორის მაზრის სასოფლო ექიმს ცისკარაშვილსა და სიღნაღის სამაზრო სამმართველოს შტატს გარეშე მე-IX ხარისხის მოხელეს ქიტიაშვილს — კოლლეჟსკი ასესორობა.

კოლლეჟსკი სეკრეტრებს ზუგდიდის სამაზრო სამმართველოს საქმეთ მწარმოებელს კოსტავას, ფოთის საქალაქო პოლიციის ბოქაულს მგელაძეს და იმავე პოლიციის ნაწილის საქმეთ-მწარმოებელს იმხნელს — ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

## ნეკროლოგი

### † ლიუბოვ როსტომის ასული ქიქოძე

ჩვენის საზოგადოების დაქვეითების ერთ უმთავრესს მიზეზად, სხვათა შორის, ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენში ერთობ ძალიან ნაკლებად მოიპოვება რიგიანი დედა-აღმზრდელი ქალი, გონიერი მეოჯახე დიასახლისი. ამა თუ იმ ქვეყნის მომავალი მჭიდროდ შეკავშირებულია იმ ქვეყნის რიგიან დედა-კაცთა სიმრავლესთან. იმ ერის მომავალი უიმედოა, რომელსაც ნაკლებადა ჰყავს გონიერი დიასახლისი, რიგიანი დედა-აღმზრდელი, ისეთი დედა, რომ იმას თავისის სიცოცხლის ერთად-ერთ საგნად შვილების გონივრულად აღზრდა და ოჯახის რიგიანად მოვლა-პატრონობა მიაჩნდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეხლანდელის დედების უმეტესობა სრულიად გვერდს უხვევს თავისს პირდაპირს დიდს მოვალეობას დედობისას, დიასახლისობისას, უყურადღებოდ სტოვებს თავისს წვრილ-შვილებს და ხშირად იმათ ბედ-იღბალს იმისთანა ადამიანთა ხელში აგდებს, რომელნიც მათ ბუნებრივ ნიადაგის შესაფერად ვერ აღზრდიან, ვერ ასწავლიან. ამის გამო ჩვენი მომავალი თაობა ჰკარგავს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რომლითაც აუცილებლად უნდა იყოს შემკობილი ყოველი რიგიანად აღზრდილი ადამიანი. ამიტომაც ასე ხშირად შეხვდებით ჩვენში ყალბად და უნიადაგოდ აღზრდილ ახალგაზდობას, რომელსაც ძალიან მცირედა აქვს შეგნებული ჭეშმარიტი დანიშნულება ადამიანისა ცხოვრებაში. ამას გარდა, ყველა შეგნებული წევრი ჩვენის საზოგადოებისა დღეს საფუძვლიანად სტირის და სჩივის, რომ ჩვენ სრულიად დავკარგეთ ხერხი და უნარი დაზოგვა-მოხმარებისა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა დაეცა ქონებრივად და გაღატაკდა ჩვენის უგუნურის ბედოვლათობისა და ფლანგვის წყალობით. ამ მხრივ მამა-კაცებზედ არა ნაკლებ დამნაშავედ უნდა ჩაითვალნენ ჩვენი ეხლანდელი დედა-კაცებიცა. ერთი ძველი ქართული ანდაზა გონივრულად შენიშნავს: „ქალი ოჯახს" დააქცევს კიდეც დაააშენებს კიდეცაო". მართლაც-და, ჩვენ თვალ-წინაც რამდენი დიდებული ოჯახი დაქცეულ-დამხობილა მხოლოდ იმის წყალობით, რომ იმ ოჯახთა დიასახლისებს ფლანგვა-ფანტვის მეტი არა გაუკეთებიათ რა თავისს ოჯახში. რამდენია ეხლანდელი ახალგაზდა ქალი, რომ უსარგებლო და ხშირად მავნებელ მოთხოვნილებისათვის ჰფლანგავს მთელის ოჯახის ნალვაწ-ნაშრომს!

ამ გვარად ჩვენს ფუჭე დროში სრულიად დაწვრილმანდა და დამახინჯდა სანაქებო და ღირსეული სახე ჩვენებურ-ძველებურ მეოჯახე დიასახლისისა, სასიქადულო დედა-ქალისა, ოჯახის მტკიცე ბურჯისა. ამ მხრივ არ შეიძლება დასაკლისად არ ჩაითვალოს უდროოდ გარდაცვალება განსვენებულის ლიუბოვ როსტომის ასულის ქიქოძისა, რომელიც შემკობილი იყო მეტად იშვიათის ღირსებით, როგორც შესანიშნავი დედა-აღმზრდელი — მასწავლებელი, როგორც საოცარი გონიერი ოჯახის გამგე დიასახლისი, როგორც სამაგალითო მეუღლე-მეგობარი, როგორც ძვირფასი საამხანაგო ქალი. განსვენებული ბუნებით ძალიან ნიჭიერი იყო, მეტად მორწმუნე, ზნეობა-დაცული, მშრომელი, დინჯი, თავ-დაჭერილი ქალი. თუმცა შინაობაში იყო აღზრდილ-ნასწავლი, მაგრამ მისის ნიჭისა და მეცადინეობის წყალობით იგი სწავლა ცოდნით სრულიად არ ჩამოუვარდებოდა ეხლანდელ ჩვენ ნასწავლ ქალებს, ხელ-საქმის ცოდნითა და მეოჯახეობით ხომ გაცილებით იმათზედ უკეთესი იყო. რვა წვრილშვილის დედა, ჯერ კიდევ ძალიან ახალ გაზდა ქალი, იგი საოცარის ხერგითა და შეგნებით ჰზრდიდა თავისს შვილებს და ამასთან სცდილობდა იმათი აღზრდა დაემყარებინა ნამდვილს მშობლიურს ნიადაგზედ. ოჯახის აგება-მოვლისა-კი ისეთი ნიჭი ჰქონდა, რომ თავისის გონიერის შრომითა დ რიგიანის დაზოგვა-მოხმარებით მან თითქმის არა რაისაგან შეჰქმნა ერთი საუკეთესო ოჯახთაგანი ქუთაისში. მთელი თავისი, თუმცა არა ხანგრძლივი, მაგრამ ჭკუითა და გონიერებით სავსე, სიცოცხლე შესწირა და მოახმარა ქმარ-შვილსა და ოჯახის ბედნიერება-წარმატებას. ამისთანა ქალი დღეს ჩვენში სწორედ რომ იშვიათია და ამიტომაც მას ასე გულ-წრფელად მისტირის ყველა მისი ნაცნობი და მეგობარი.

განსვენებულის ანდერძის აგებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და მიაცილა ცხედარი საფლავამდე; შორ მყოფ მის ნაცნობთა და ნათესავთაგან მრავალი თანაგრძნობის დეპეშა მიუვიდა უდროოდ დაობლებულ ოჯახს. ამისთანა ადამიანი ჭეშმარიტად ღირსი არის, რომ მისი ხსენება დიდხანს დარჩეს მის ნაცნობთა შორის და მისაბაძავი მაგალითი იყოს ჩვენთა ახალგაზდათათვის!..

ვინმე

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 7 თებერვალს, ფოთის ქალაქის მოურავმა ნ. ი. ნიკოლაძემ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მან წარუდგინა ფოთის ქალაქის საბჭოს განსახილველად მოხსენება ტფილისის საბჭოსი პოლიტეხნიკუმის შესახებ. ფოთის ქალაქის საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა, რომ თუმცა უფრო სასურველია, რომ პოლიტეხნიკუმი ტფილისში დაარსდეს, ვიდრე კავკავში, რადგანაც ტფილისამდე გზა უფრო მარჯვეაო, მაგრამ, თუ პოლიტეხნიკუმი ტფილისში არ დაარსდება, მაშინ, კავკავი უკეთესია, რადგანაც იქაური ჰავა უფრო კარგია კავკასიის მცხოვრებთათვისაო. რაც შეეხება იმას, რომ ფოთმა ფულით დახმარება რამ აღმოუჩინოს ქალაქის პოლიტეხნიკუმს, საბჭომ სთხოვა ქალაქის მოურავს შეატყობინოს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ფოთი ვერავითარს მონაწილეობას ვერ მიიღებს ფულით დახმარების მხრივ ამ საქმეში.

*** ორშაბათს, 9 თებერვალს, ქალაქის საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, კიდევ ორს საქმეს: 1) მოხსენება გამგეობისა ტფილისში სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ და 2) საჩივარი ჩითახოვის მემკვიდრეებისა ქალაქის გამგეობაზედ, რომელმაც არ შეიწყნარა იმათი თხოვნა, რომ მტკვრის პირას კედელი აეშენებინათ.

*** დღეს, 8 თებერვალს, ქალაქის მოურავი ა. ივანენკო და საგუბერნიო ბეითალი ნ. კრიდნერი გასინჯავენ ბაკს, რომელიც დაარსებულია ქალაქის საყასბოსთან. მათთან ერთად იქმნება საბჭოს კომისიაც.

*** სამოქალაქო კანონების სარედაქციო კომისიას განზრახვა აქვს თურმე სამოქალაქო კანონთა დებულების მუშაობათა დამთავრებას არ მოუცადოს და ჯეროვან დაწესებულებათ განსახილველად წარუდგინოს პროექტი იმ წესებისა, თუ როგორ განკარგდეს ბედ-იღბალი უკანონო ბავშვთა, რომელნიც ეხლა, როგორც ვიცით, ყოველსავე უფლებას მოკლებულნი არიან, და აგრეთვე წესები მეუღლეთა განშორების შესახებ, რომელიც წინდანახული არა აქვთ ჩვენს კანონებს, თუმცა ცხოვრებაში ეს ამბავი ხშირია და კომისიას ხელთაცა აქვს დიდ-ძალი თხოვნანი მეუღლეთა, რომელნიც განცალკევებულის ცხოვრების ნებართვასა თხოულობენ.

*** პირველ თებერვალს ხელოსანთა მოურავმა ბრძანება გასცა თურმე, ხელოსანთა გამგეობაში მოსამსახურეთ იანვრის თვის ჯამაგირს ნუ მისცემთო, ვიდრე ხელოსანთა საზოგადო კრება არ მოხდებაო და ვიდრე ეს კრება ამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას არ განიხილავსო. ასეთი ბრძანება მოახდინა ხელოსანთა მოურავმა და კრების მოწვევასკი ავვიანებს. თვით მოურავი შეძლებული კაცია, ფული სულაც არ უჭირს, სხვები-კი მარტო ჯამაგირითა სცხოვრობენ და ჯამაგირის მიუღებლობით, რასაკვირველია, დიდს გაჭირვებაში ჩავარდებიან.

*** ჩვენ ამას წინად მკითხველებს ვაუწყეთ, რომ იმ კომისიას, რომელიც სახალხო წარმოდგენებსა და კითხვებსა ჰმართავს, აზრადა აქვს სახალხო თეატრი ააშენოსო. რადგანაც კომისიას თვით საჭირო თანხა არა აქვს, იგი ამ აზრის განსახორციელებლად შემოწირულებასა ჰკრებს. კომისიას 4,000 მანეთი უკვე შეუკრებია.

*** ქ. ფოთი. ამ ჟამად ნავთ-სადგურში 10 ინგლისის გემი სდგას და ცლის შავის ქვით დატვირთვას. ნავთსადგურში-კი მხოლოდ სამი გემი შეიძლება დაიტვირთოს. მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი შავის ქვის ექსპორტერები, რადგან გემი თუ სამ დღეზედ მეტს გაჩერდა, ჯარიმად 200 მან. გადახდება ყოველ მეტ დღე-ღამეში.

*** სოფ. განირი, (ქუთაისის მაზრა). ამ დღეებში აქ შემდეგი უბედურება დატრიალდა. სოფლის სას წავლებლის მახლობელ დუქანში ქეიფობდნენ ნ. ცოტაძე, ა. მიქაძე (მამასახლისის თანაშემწეები) და მასწავლებელი ი. კ—ძე. სმის დროს ლაპარაკი მოუვიდათ ცოტაძესა და მიქაძეს, თუ ვინ უფრო მეტს დალევსო, და შემდეგ მუშტებით დაერივნენ ერთმანეთს. მასწავლებელმა კაცი გაჰგზავნა მამასახლისთან. მამასახლისი ოთხის კაცით მოვიდა და შევიდა თუ არა დუქანში, მაშინვე ყვირილი დაუწყო მიქაძეს, რომ რა ამბავია და რა ჩხუბებსა ჰმართავო. მიქაძემ უპასუხა, რომ თუ ჩხუბი მოგვივიდა, კიდეც შევრიგდითო. ამ დროს კალატეიშვილმა (მამასახლისთან მოსულთაგანმა) სილა შემოსცხო მიქაძეს, რომელიც ძირს დაეცა და ფეხზედ წამოდგა თუ არა, ხანჯალი იშიშვლა. მამასახლისმა ჯერ ხანჯალი ჩააგდებინა, შემდეგ უბრძანა თავისთან მოსულებს, რომ აბა დააჭკვიანეთო, და ისინიც ეცნენ, დაუწყეს ცემა და იმდენს ხანს სცემეს, სანამ საბრალომ სული არ განუტევა. მიქაძის ფეხ-მძიმედ მყოფმა ცოლმა გაიგო თუ არა თავისის ქმრის უბედურება, გული შეუწუხდა და დაწვა. დამნაშავენი პოლიციამ შეიპყრო და სამართალში მისცა. („ახ. მიმ.“).

*** 6 თებერვალს, დილის 10 საათზედ, მე-9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა მარიამ ბაგატუროვისამ, რომ წუხელის ვიღამაც 40 მანეთის სარეცხი მომპარაო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

*** 6 თებერვალს ვიღაც ბოროტ-მომქმედთ ებრაელთა პირველ თორადგან მოიპარეს: ორი ფუთი კართოფილის სანთელი, 2 სუფრა და სხვა, სულ 128 მ. ღირებული. დამნაშავეთ პოლიცია დაეძებს.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა მკურნალმა პავლოვსკიმ ქალაქის გამგეობას შეატყობინა, რომ საავადმყოფოში, სხვათა შორის, ხუთი ყვავილით ავადმყოფი წევსო და უადგილობისა გამო ყვავილით ავადმყოფთა მიღება შეჩერებულია. კარგი იქმნება ამ გვარ ავადმყოფებს ქალაქის საავადმყოფოში ადგილი აღმოუჩინოთ ადგილიო.

*** ადგილობრივმა ფრანგთა დამხმარებელმა საზოგადოებამ ამ დღეებში მოილაპარაკა და გადასწყვიტა, ორშაბათს, 16 თებერვალს, ჩვეულებრივი ბალი გაჰმართოს. ბალი ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში იქმნება გამართული.

## რუსეთი

ამ ჟამად ხუთი ქალაქი შუამდგომლობს უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებას, სახელდობრ: კიევი, ვორონეჟი, სამარა, სარატოვი და ხარკოვი. შუამდგომლობს აგრეთვე ჩერნიგოვის გუბერნიის ერობა ნეჟინის საფილოლოგიო ინსტიტუტის გადაკეთების შესახებ. ყველა ეს შუამდგომლობა მალე იქმნება თურმე განხილული შესაფერ დაწესებულების მიერ.

— განზრახვა აქვთ მომავალ სამოსწავლო წლიდგან ზოგიერთ ქედათა გიმნაზიებთან შეუძლებელთა შვილების აღსაზრდელად უფასო სასწავლებლები დაარსონ. ამ სასწავლებლების მასწავლებლად მაღალ კლასების მოსწავლენი უნდა იყვნენ.

— უკვე გამოქვეყნებულ იქმნა განკარგულებანი: საერო განათლების სამინისტროსთან განსაკუთრებულ ინსპექციის დაარსებისა სამრეწველო სასწავლების ყურის საგდებლად; ტომსკის იურიდიულ ფაკულტეტის შტატის დაარსებისა და 1898 წ. 1 იანვრიდგან ქალაქებისა და სოფლების სამღვდელოების შესანახად მუდამ წელს 500,000 მან. გადადების საჯამაგიროდ.

— ამ ჟამდ სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტთან არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ახალი პროექტი საერთო საბირჟო წესდებისა.

— ფინანსთა სამინისტროს თამბაქოს წარმოების ხელის შესაწყობად განზრახვა აქვს გადაათვალიეროს და რაიმე ცვლილება შეიტანოს აწ არსებულ სააქციზო წესდებაში. ამ საქმის შესახებ გამართულ კრებებს დაესწრება, სხვათა შორის, კავკასიის სააქციზო დაწესებულების მმართველი, რომელიც უკვე გაწვეულია ქ. პეტერბურგს.

საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ რეალურ სასწავლებლების მე-VI ან VII კლასის მოსწავლეს, თუ ხატვა ხაზვის გარდა ყველა საგანში კარგი ნიშნები აქვს, შეუძლიან ზაფხულის თვეების შემდეგ ხელ მეორედ დაიჭიროს ეგზამენი ხატვა-ხაზვისა, თუ საპედაგოგიო საბჭო იმ აზრს დაადგება, რომ მოსწავლემ ამ საგნისთვის დანიშნულ დროს ვერ მოასწრო და ჯეროვანად ვერ შეისწავლა იგიო.

— განზრახულ ტყის მეურნეთა კრება, სხვათა შორის, განიხილავს იმას, რომ ტყეების გაჩეხისაგან უზრუნველ საყოფელად კარგი იქმნება ყველგან ორთქლ მავალთა გასახურებლად შეშის მაგიერ ქვის ნახშირი იხმარონო.

— განზრახვა აქვთ ხელ ახლად გადაათვალიერონ აწ არსებული ტარიფი რუსეთის რკინის გზებით შაქრისა და მარილის გადატან-გადმოტანისა.

## სასამართლოს მატიანე

ცრუ მოწმობა

(დასასრული *)

ბრალდებულის ამხანაგის შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულის ახვლედიანის დამცველმა თავ. მ. გ. ფაღავამ. ახვლედიანს ჯერ ერთი იმის ბრალსა სდებენ, სთქვა ფაღავამ, რომ 1896 წლის 15 იანვარს სასამართლოს ცრუ-ჩვენება მისცა და ბრალი დასდო დაფინე ჯოხაძეს, ყალბ ფულს ასაღებსო. ეს ბრალდება, როგორც ვუწყით არ დამტკიცდა და სასამართლომ გაამართლა დაფინე ჯოხაძე: მეორე—ახვლედიანს ის ბრალი დასდეს, რომ სისხლის სამართლის საქმეში საერთოდ ცრუ ჩვენება მისცაო. მეორე ბრალდება იმდენად საყურადღებო და საბუთებზედ დამყარებული არ არის, რამდენადაც პირველი, ამიტომ ჩვენც ჯერ ბრალდების პირველ ნაწილს შევეხებით. უპირველეს ყოვლისა საქმეში პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა არ მოიპოვება, რომ ბრალდებულმა იცრუა, როდესაც სთქვა, ყალბი ქაღალდის ფული დაფინე ჯოხაძისაგან მივიღეო. სხვა-და-სხვაობა სვიმონოვისა და ახვლედიანის ჩვენებათ შორის, რომელიც გაკვრით ბრალდებულმაც მოიხსენია, არ არის აღნიშნული საბრალმდებლო ოქმში. თვით ბრალდებულმაც თავის სიტყვაში ნამდვილად და ჭეშმარიტებით არ აღნიშნა ეს სხვა-და-სხვაობა. ასეთი სხვა-და-სხვაობა მართლაც არის ამ მოწმეთა ჩვენებაში, მაგრამ იგი სრულიად უმნიშვნელოა. იგი შეეხება იმას, თუ ბრალდებულმა როდის მიიღო ყალბი ფული. ახვლედიანმა სთქვა, რომ ეს ამბავი სვიმონოვის მოსვლის შემდეგ მოხდაო; ხოლო სვიმონოვი ამტკიცებდა, რომ ახვლედიანს ჩემს ქუთაისში მოსვლამდის ჰქონდა ყალბი ფულიო. მაგრამ ამ პატარა უთანხმოებასაც ეკარგება მნიშვნელობა, რადგანაც ახვლედიანმა განაცხადა, რომ შეიძლება სვიმონოვი მართალი იყოსო. შემდეგ ბ-ნი ვექილი ბრალმდებელის სიტყვის იმ ადგილს შეეხო, რომლითაც იგი ამტკიცებდა, რომ დაფინე პირველად ძალის-ძალად გამოსტეხეს და მან ჭეშმარიტება მხოლოდ გამომძიებლის წინაშე სთქვაო. მე ამ შემთხვევაში არ ვეთანხმები ბრალმდებელის აზრს, მე არა მჯერა, რომ დაფინე ჯოხაძე იძულებულ ეყოთ და, გამომძიებელთა და სხვათა თანადასწრებით, ტყუილი ჩვენება ჩამოერთმიათ. ბოქაულის თ. წულუკიძის ჩვენებაში ნათქვამია, რომ დაფინე ჯოხაძე ნება-ყოფლობით გამოსტყდაო. შემდეგ ვექილმა მოიხსენია რა ის, რომ წულუკიძემ უარ-ჰყო თავისი პირველი ჩვენებაო, სთქვა, რომ ამ მოწმის ჩვენებას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ბრალდებულსა და წულუკიძეს შორის მტრობა არსებობდაო. მოწმის სერჟპუტოვსკის სიტყვებიდგანა სჩანს, მაგალითად, რომ ყალბის ფულის შესახებ მიწერ-მოწერა სადღაც გაჰქრა, მას შემდეგ რაც ეს წერილები ხელში ჩაიგდო წულუკიძემ, რის გამოც იგი სამართალშიაც-კი იქმნა მიცემული. ყველა ამის შემდეგ თავ. წულუკიძე ამტკიცებდა, რომ მე არაფერი ვიცოდი მიწერ-მოწერის შესახებაო. შემდეგ ვექილი დაფინე ჯოხაძის ჩვენებას შეეხო და სთქვა, რომ დაფინემ უთუოდ პირველად უარი იმიტომ განაცხადა, რომ ძალა დაატანესო. ახვლედიანი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ჯოხაძის სახლში ყალბი ფული იყოო. ბრალდებულის ჩვენებას ამართლებს ის გარემოება, რომ დაფინე ჯოხაძის სახლის გაჩხრეკის დროს იპოვნეს იქ კონვერტში 7 მანეთი. დამცველის აზრით, ეს ის ფულია, რომელსაც დაფინე ახვლედიანს აძლევდა და ეუბნებოდა, ბათუმში წადი ყალბის ფულის სასყიდლადაო, ამასთან ისიც-კი უთხრა, რომ ბათუმში წასვლა 7 მანეთზედ მეტი არ დაგიჯდებაო. შემდეგ განაცხადა რა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ გამოძიება უწესოდ მოხდაო, დამცველმა სთხოვა სასამართლოს, ბრალდებული გაამართლეთო.

დასასრულ თვით ბრალდებულს მისცეს სიტყვის თქმის ნება.

„მე ათი წელიწადი სინიდისიერად და პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, სთქვა ბრალდებულმა, რაიცა სჩანს ჩემის უფროსების მოწმობებიდგან, რომელნიც ჩემმა ვექილმა გადმოგცათ. მტრების წყალო-

*) იხ. „ივერია“ 28.

ბით მე ეხლა ბრალდებულთა სკამზედ ვზივარ. ჩემი ბედი თქვენს ხელშია. მე თქვენის სინიდისის იმედი მაქვს, იმედი მაქვს, რომ ღმერთს არ დაივიწყებთ და გამამართლებთ“.

ორის საათის მოლაპარაკების შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, ბრალდებულს ახვლედიანს, რომელიც დამნაშავედ ცნობილ იქმნა სასჯელთა დებულების მე-942 და 237 აღნიშნულ მუხ. დანაშაულში, ჩამოეხადოს ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნას კატორგაში ექვსის წლითაო.

## ნაწყვეტი

ნათლი-მამობამ თითბერი
ოქრო-ვერცხლს დაადარაო,
და მტრობამ ოქრო პიტალო
თითბერად აღიარაო;
არ იქნა კაცის სიმტყუნემ
ღმერთი ვერ შეიყვარაო,
„ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“.

დ. მაჩხანელი

## ნაკვესი

ფოსტაში.

— რა გინდა, ძამია? შეეკითხა მოხელე ერთს იმერელს.

— წერილი ხომ არაა მოსული ჩემის ბატონის გვარზედ.

— რა გვარისაა შენი ბატონი?

— წერილზედვე ეწერება, მე რაღას მკითხავ?

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ფრანგები იმის ფიქრში არიან, რომ 1900 წელს პარიჟის გამოფენა არაფრით არ ჩამოუვარდეს ჩიკაგოს გამოფენას. ამ ჟამად აუარებელი პროექტები იწერება ამ გამოფენისათვის. ზოგი მათგანი უკვე გვქონდა მოხსენებული ჩვენს გაზეთში. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ერთს ინჟენერს დაუწერია ერთი პროექტი, რომელიც უკვე მოსწონებია გამოფენის კომისიას. ამ ინჟენერის პროექტით, უნდა აშენდეს დიდი სასახლე, რომელშიაც გამართული იქმნება თეატრები, რესტორანები და სხვ. სართულის წვერიდგან გადმოვა წყალი, რომელიც მთელს სასახლეს გარშემო დაჰფარავს და ღამე, როცა სასახლე ელექტრონის სინათლით იქმნება განათებული, უებრველია, საუცხოვო სანახავს წარმოადგენს.

* * *

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ნატგორსის ექსპედიცია აპირებს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ წასვლას. ამ ექსპედიციის გარდა კიდევ სხვა ექსპედიციები აპირებენ წასვლას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. სხვათა შორის ერთი ამერიკელიც აპირებს წასვლას, გვარად ველმანი. სამის წლის წინად ველმანი უკვე იყო ჩრდილოეთის მხარეს, შპიცბერგენის კუნძულზედ. ეხლა ეს ექსპედიცია აპირებს ჩრდილოეთისაკენ წასვლას 1898 წელს, ივნისში. ბ-ნი ველმანი მხოლოდ ეხლა დაბრუნებულა ამერიკაში ევროპიდგან, სადაც ნანსენი უნახავს და მასთან ულაპარაკნია ჩრდილოეთისაკენ წასვლის შესახებ. ნანსენს ძლიერ მოსწონებია ველმანის პროექტი, რომელიც მართლა რომ ძლიერ ადვილად შესასრულებელი არისო, ამბობს თვით ველმანი. ფლორას კონცხზედ გავმართავ სადგურსაო, სთქვა ველმანმა. შემოდგომაზედ ცოტა კიდევ ზევით წავალთ ჩრდილოეთისაკენ და კიდევ ერთს სადგურს დავაარსებთო. თან მარხილებს წავიღებთო, ამბობს ველმანი, და თექვსმეტს ძაღლს წავიყვანთო. მერე შესაფერს დროს ავირჩევთ და პოლიუსამდე მივალთო. დასასრულ ველმანი ამბობს: „მე მამულიშვილი ვარ და მსურს, რომ ამერიკის დროშა აღმართულ იქმნას იქ, საიდგანაც სხვა გზა არ არის,—გარდა სამხრეთისაკენ.

* * *

ერთს გერმანულ გაზეთში დაბეჭდილია ვრცელი წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ინგლისელს მეცნიერს დავინსონს გამოუგონია ჰაერში საფრენი მანქანა და კიდეც აკეთებს ამ მანქანასაო. გაზეთი ამბობს, რომ დავინსონის მანქანას შეეძლება 20 კაცი აიყვანოს ჰაერშიო. თუ ამ კაცის იმედი გამართლდა, სულ ცოტა ხნის შემდეგ ჰაერში საფრენი გემები დიდს კონკურენციას გაუწევენ რკინის გზებსა და ომნიბუსებს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 თებერვალი.

**პარიჟი.** სასამართლოსთან ცოტაა ცნობის მოყვარე ხალხი. საქმის გარჩევა დაიწყეს 12 ს. 30 წ. ვექილმა კლემანსომ სთხოვა სასამართლოს, სამხედრო სამინისტროსაგან ბორდეროს დედანი მოიტანეთო. თავმჯდომარემ სთქვა, ეგ შეუძლებელი არისო. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ზოგიერთ მოწმებს. ლაპარაკი დაიწყეს შესახებ იმისა: როდის არის დაწერილი ბორდერო. პიკარი ამტკიცებს—აპრილშიო, გონზი—აგვისტოშიო. პელიემ სთქვა: სამხედრო სამინისტრომ მიიღო ნამდვილი დამტკიცება ესტერგაზის დანაშაულობისა და მე თითონ ვნახე ეს დამტკიცება. სწორედ მაშინ მივიღეთ ბარათი, რომელშიაც ეწერა: „ნურასოდეს ნუ ილაპარაკებთ იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც ჩვენა გვქონდა მაგ ურიასთან“. ბარათი არ იყო ხელ-მოწერილი, მაგრამ თან ჰქონდა სადარბაზო ბარათი და ზედ ჰქონდა ისეთივე ნიშანი, რა ნიშანიც ჰქონდა საბუთის ქაღალდს. გენერალი ბუადერფიც დაგვემოწმება ამაზე. (აღტაცებული ტაშის ცემა).

6 თებერვალი

**ბელგრადი.** 5 თებერვალს გარდაიცვალა მიტროპოლიტი მიხეილი.

**კონსტანტინეპოლი.** ბოლგარიის მთავრობას აუწყეს, რომ სულთანი იუსკუბში ცალკე კომისიას ჰგზავნისო. ყველა დაპატიმრებული ბოლგარელი განთავისუფლებულ იქმნა, 15 კაცის გარდა. ყველა ის კაიმაკი, რომელიც ბოროტად ჰხმარობდა უფლებას, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან.

**კოპენჰაგენი.** ახალს სამინისტროს შემდეგი კაცები შეადგენენ: სტენი—კონტროლის მინისტრი, კუამი—სასჯულო საქმეთა, ვექსელზონი—სარწმუნოებისა, გოლსტი—სამშობლოს დაცვისა, ლეფლანდი—საზოგადო სამუშაოთა, სუნდე—ფინანსთა, ტილეზენ—შინაგან საქმეთა.

**პარიჟი.** პელიეს საპასუხოდ ლაბორიმ შენიშნა, რომ ეს ახალი გარემოებაა, ამ საქმეში ჩახხირულიო. ლაბორიმ დაუმატა, რომ პირველმა საიდუმლო dossier მა გამოიწვია დრეიფუსის განსჯა, ახლა-კი მეორე dossier იც აღმოჩნდა,—მაშ რატომ არ უნდა განვიხილოთ იგიო. აღელვებას ქვეყნისას საზღვარი არ ედება. საჭიროა ყველაფერს ნათელი მოეფინოს და რაც უნდა სთქვან ამიერიდგან, საქმის განხილვა აუცილებელი ხდება. (ხმაურობა; ტაშის ცემა) ლაბორიმ დაუმატა: „წარმოგვიდგინონ საბუთები და ჩვენც იმათ წინაშე ქედს მოვიხრით; განმარტოს პელიემ; მოიტანონ ყველა საბუთები“. გონზმა სიტყვა მოითხოვნა და სთქვა: „მე უსათუოდ მოვიწონებ პელიეს აზრს, არა მგონია, საჭირო იყოს მოტანა იმ საბუთებისა, რომელთა შესახებაც ლაპარაკია“. პელიემ მიუგო: „ლაპარაკობდნენ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც საიდუმლოდ სამხედრო სასამართლოს გარდაეცა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი კი არ წარმოადგინეს. გთხოვთ გაიხსენოთ ანრის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ საბუთის ქაღალდები დაბეჭდილ იქმნენო. მე გთხოვთ,—სთქვა დასასრულ პელიემ, რომ მოუსმინოთ ბუადერფს“. პელიემ უბრძანა კაპიტანს ბუადერფის მოსაყვანად წადიო, (საშინელი მოძრაობაა). თავმჯდომარემ სთქვა: „ესტერგაზის დაუძახეთო“. (მოძრაობაა). ლაბორიმ შენიშნა: „ჯერ არა, შემდეგ, როდესაც ბუადერფი თავის აზრს წარმოსთქვამსო.“ ამ შემთხვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და შეუძლებელია საქმის გარჩევის განგრძობა, ვიდრე იგი არ გამოირკვევა. მე ჩემს მოხსენებას წარმოვადგენ ამ საქმის შესახებ“. საქმის გარჩევა შესწყდა. დიდი აღელვებაა. კრების განახლების დროს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, რადგან გენერალი ბუადერფი აქ არ არის, ამიტომ საქმის გარჩევა ხვალამდე გადაიდებაო. საქმის გარჩევა ისე შესწყდა, რომ დამსწრენი ვერ გამოირკვნენ, ეს რა ამბავი არისო. დიდი აღელვებაა.

**პარიჟი.** პელიე რომ სასამართლოდგან გამოვიდა, ხალხი აღტაცებით მიეგება. ზოლას წასვლას ყურადღება არავინ მიაქცია. პოლიციამ სასტიკი ღონისძიებანი იხმარა.

**სენატი.** პრარიემ და ტევენემ განაცხადეს, რომ დრეიფუსის საქმე უკანონოდ იქმნა განხილულიო. ამ გვარ მოხსენებათა განხილვა, მთავრობის აზრის თანახმად, გადადებულ იქმნა ერთ თვემდე. საქმის გარჩევის შეწყვეტის დროს არც ერთხელ ასეთი დიდი აღელვება არ მომხდარა სასამართლოს დარბაზში. მეტად გაცხარებული ბაასი ასტყდა. ბევრნი ამბობენ: „ის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგევართ, მეტად დიდ-მნიშვნელოვანიაო“. ამ გვარის აზრისანი არიან ბევრი უფროსი აფიცრები, რომელთაც განაცხადეს, ჩვენ დიდადა ვსწუხვართ, რომ გენერალი პელიე, ჯარის დაცვისათვის იძულებულ შეიქმნა ასეთი საყურადღებო რამ წარმოეთქვაო.

7 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ავად გახდა წითელით. ავადმყოფობა სუბუქია და სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს. ბიულეტენები არ იქმნება.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერიის ბანკმა დისკონტი 4-დგან 3°/₀-მდე დასწია.

**პარიჟი.** სასამართლოში მომხდარ გუშინდელ ამბისა გამო, მინისტრმა გუშინ საღამოზედვე პრეზიდენტ ფორთან მოილაპარაკეს საქმეთა იმ ვითარების შესახებ, რომელიც გამოიწვია გენერალ პელიეს ჩვენებამ. თათბირმა ნახევარი საათი გასტანა. საიდუმლოდ ინახავენ ამ თათბირზედ დადგენილ გარდაწყვეტილებათ.

გაზეთები სწერენ იმ მოულოდნელ და დიდ-მნიშვნელოვან ამბის შესახებ, რის გამოც შესწყდა გუშინ საქმის განხილვა. „zournal“-ი სწერს, ხმები დადის, რომ ბილიო უკანასკნელ მოხსენებას წარუდგენს პალატას, რომ საქმის გარჩევა უნდა მიენდოს სენატს, რომელიც ამისთვის მთავარ სასამართლოდ იქმნება გარდაქმნილი.

პეტერბურგის ბირჟა, 6 თებერვალი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5°/₀-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | „ — | — „ | 222 |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | „ — | — „ | 100 |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 283½ | — „ | — „ |
| 5°/₀ მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 260 |

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემდამო რწმუნებულ კეთელარის წმ. გიორგის ეკკლესიასთან დაარსებულ სამრევლო სკოლას წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრმა ბ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა შემოსწირა ოც-და-ათი ცალი „დედა ენა“ და Русское слово ч. I ოცი ცალი, რისათვისაც დიდსა და გამოუთქმელს მადლობას ვუძღვნი.

მ-ღ კეთელარის წმ. გ-ის ეკკლესიისა ბესარიონ ფირცხალავა.

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ—ხი. გჯიხ—ელს.** „ერთი სიტყვა“ არ დაიბეჭდება.

**დ. ლ—თი. ი. გ—შვილს.** „სიკვტილი“ არ დაიბეჭდება.

**თ—თი. ვ. გ—ძეს.** „დურგლების საყურადღებოდ“ არ დაიბეჭდება.

**ვანოს.** ნაკვესია ვითომ?

**მ. ტ.—ნ—ს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სოფ. ახ—ნი. გლეხს. ი. მ—შვილს,** ქათამი-ჭამია მამასახლისის ამბავი არ დაიბეჭდება.



## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები, საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა თდა მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| ამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |

# აბესალომ ეთერ,

ისტორიული ამბავი, იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, მეფე ერეკლეს პარტრეტით და ქარტით. ფასი ორი შაური.

# მეფე ერეკლე და ინგილო ქალი

ისტორიული მოთხრობა მისივე, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

იყიდება ყოველს წიგნის მაღაზიაში აქეთა და იქითა საქართველოში. (4—2)



Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Февраля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.